შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის დასკვნა

დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორ/მა	შპს
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ.: 245433865

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბათუმი
იურიდიული მისამართი	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 160
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 160
საფოსტო ინდექსი	
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gimnazia21.ge

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	gimnazia21b@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 91 90 07
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ირინა ქიქავა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	
ელ-ფოსტა	Ikikava@gimnazia21.ge

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **13/12/2021 წლის #MES 9 21 0001358905 ბრძანების საფუძველზე** **2021 წლის 15 დეკემბერს** შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	ხათუნა ბარაბაძე-თავჯდომარე მიხეილ ტეფნაძე - წევრი
ვიზიტის განხორციელების პერიოდი	15 დეკემბერი 2021 წელი.
დასკვნის პროექტის მომზადების თარიღი	21/12/2021
დასკვნის პროექტის წარმოდგენის თარიღი	22/12/2021

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის პროექტის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნის პროექტის დაიწეროს თხრობითი სახით.

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☒
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს	**მუხლი 7/ პუნქტი ვ.დ)**	☐	☒

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები;	**მუხლი 7 პუნქტი ზ)**	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3. 6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.	**პუნქტი** „ვ“	☒	☐

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	**საგანმანათლებლო პროგრამები**	**ხარვეზი**
სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.6.4	*სკოლა არ ხელმძღვანელობს შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმებით. კერძოდ: კანონდარღვევის შემთხვევაში, მოსწავლის/დასაქმებულის მიმართ, არ იყენებს დისციპლინური წარმოების წესს და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს;* **დამტკიცებული არ აქვს უსაფრთხოების დოკუმენტი, არ აქვს**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		მედიაციის გეგმა, მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა; ***(ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, სკოლამ, საპასუხო განაცხადში, წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.*** ***ასევე, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შეიმუშავა მედიაციის გეგმა და მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა.*** *)* *შინაგანაწესში არ არის განმარტებული გარეშე პირთა ვინაობა და სკოლის ტერიტორიაზე მათი გადაადგილების წესი;* *დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, როდესაც მესამე, არაუფლებამოსილი პირისთვის ცნობილი ხდება პერსონალური მონაცემების დეტალები.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	2.7	✓ *სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები:* ***შინაგანაწესი და უსაფრთხოების დოკუმენტი*** *არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, თუმცა ზოგიერთი მუხლი საჭიროებს კანონმდებლობასთან შესაბამისობასი მოყვანას. კერძოდ 43-ე მუხლი უნდა შეესაბამებოდეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის, და* საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესახებ; ***(ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, სკოლამ, საპასუხოდ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც 43-ე მუხლის პირობები მოყვანილია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან)*** ✓ *სკოლის დირექციის გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.*

VI. რეკომენდაციების შეჯამება

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	მატერიალური რესურსი	
ქვესტანდარტი	2.6.4.	✓ დაიგეგმოს და განხორციელდეს ძალადობისა და ბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული გეგმა ✓ სკოლის ადმინისტრაციამ შინაგანაწესის შესაბამისად განახორციელოს დისციპლინური წარმოება და თანმიმდევრულად და თანაზომიერად გამოიყენოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები; ✓ მაქსიმალური ყურადღება გამახვილდეს პერსონალური მონაცემის დაცვაზე, რათა არ გახდეს ცნობილი მესამე პირთათვის მოსწავლ;ეთა პერსონალური მონაცემები და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		სკოლამ იმოქმედოს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
	2.7.	✓ *დეტალურად გაიწეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში კონკრეტული აქტივობისთვის პროცედურები და შეიქმნას ქმედითი მექანიზმები;* ✓ *კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები;* ✓ *სკოლის დირექციამ, გადაწყვეტილებები მიიღოს კანონმდებლობის სრული დაცვით;* ✓ *სკოლის დირექტორმა შეიმუშაოს შრომითი დისციპლინის კონტროლისა და მონიტორინგის ქმედითი გეგმა/წესი და პრაქტიკულად განახორციელოს სკოლაში დასაქმებულთა სამიანობის შეფასება.* ***(ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, სკოლამ, წარმოადგინა დირექტორის მიერ შემუშავებული***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

		შრომითი დისციპლინის კონტროლისა და მონიტორინგის ქმედითი გეგმა/წესი რაც საშუალებას მისცემს პრაქტიკულად განახორციელოს სკოლაში დასაქმებულთა სამიანობის შეფასება)
სტანდარტი	ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტი	*3.6.*	✓ *სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სკოლის საერთო კულტურისა და მისი მიღწევის პრინციპების განხორციელების მექანიზმები;* ✓ *ხელი შეუწყოს ქართულენოვანი მოსწავლეებს ეფექტურ კომუნიკაციას სკოლის ფსიქოლოგთან.*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

დაწესებულების მისია	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე ზრუნავს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში საზოგადოების დაკვეთის მაქსიმალურად ხარისხიანად დაკმაყოფილებაზე. სკოლის მისიაა მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლე, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროების გათვალისწინებით უსაფრთხო და შესაძლებლობებით მდიდარ გარემოში. აღზარდოს დროის გამოწვევის შესაბამისი, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნება. მოამზადოს მოსწავლეები წარმატებული მომავალი ცხოვრებისათვის, რათა გიმნაზიის კურსთამთავრებულებმა შეძლონ თავისუფლად დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნე წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას . სწავლება ხორციელდება რუსულ და ქართულ ენებზე (სექტორების შესაბამისად) ყველა საფეხურზე: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. *მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მიზანი იყო ცენტრში შემოსული კორესპონდენციებაში აღნიშნული ფაქტების შესაბამისობის დადგენა. კორესპონდენციის მიხედვით, შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეში აღინიშნება მოსწავლეთა მხრიდან ერთმანეთის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მონიტორინგის ვიზიტის პროცესში უნდა გაგვეცა პასუხები კითხვებზე: *1. არის თუ არა სკოლაში მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემო;* *2. ხდებოდა თუ არა სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დარღვევა. კერძოდ მე-10 კლ მოსწავლის დ.ქ-ს უფლებების დარღვევა სკოლაში.* შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად შემუშავებული აქვს შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის “ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შესათანხმებლად გაგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ვიზიტის დროს სამინისტროდან ჯერ არ იყო პასუხი მოსული. სკოლაში უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების მენეჯერი. სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ა) განთავსებულია ვიდეოკამერები სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე; ბ) ევაკუაციის გეგმის შესაბამისად განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; გ) ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. ***სკოლის შინაგანაწესში*** *მუხლი 56.* ***გაწერილია*** *უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი* *სკოლას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი , რომლის ფუნქციებშიც შედის :* *სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესის თანახმად :* *უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.* *2. უსაფრთხოების მენეჯერის უფლება მოვალეობებია:* *ა) სკოლის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;* *ბ) სკოლაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გ) სკოლის , პედაგოგიური საბჭოს, დირექციისა და მასწავლებლის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება; *დ) მოსწავლეებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციისმიწოდება;* *ე) მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ;* *ვ)კატასტროფის (ხანძარი,წყალდიდობა,მიწისძვრადასხვა)დროს მოსწავლეთა,სკოლაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვისა და ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე კატასტროფისათვის მზად ყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში,მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;* *ზ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათ შორის, ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	თ) დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება; *ი) დამოუკიდებლად ან სკოლის დირექციასთან ერთად სკოლის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;* *კ) სკოლაში ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირება;* *ლ) მოსწავლის განცალკევება ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;* *ო) საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენის, იმ საგნის აღმოჩენის, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენის მიზნით, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება მეტალოდეტექტორის გამოყენებით.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესის თანახმად : უსაფრთხოების მენეჯერს ევალება მედიაციის განხორციელება. *უსაფრთხოების მენეჯერთან ზეპირი გასაუბრების დროს, ჩვენ მიერ დასმულ კითხვაზე:* *- თუ როგორ ახორციელებს მედიაციას, და რა გააკეთა კონკრეტული დაპირისპირებული მოსწავლეების მოსარიგებლად?* ***მან ვერ გვიპასუხა. ასევე არ აღმოაჩნდა მედიაციის გეგმა (ვინაიდან სკოლას არ აქვს შეთანხმებული და დამტკიცებული უსაფრთხოების დოკუმენტი, ის ვალდებულია იხელმძღვანელოს 06/ნ ბრძანების 35 მუხლის 2,3 პუნქტები). სკოლაში ასევე არ აღმოჩნდა მოსწავლეთა ადაპტაციის ერთიანი პოლიტიკა, მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის წესი და სხვა უსაფრთხოების და მოსწავლეთა ინტეგრაციის მიზნით განსაზორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი.*** ***(ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, სკოლამ, საპასუხო განაცხადში, წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება.*** ***ასევე, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შეიმუშავა მედიაციის გეგმა და მოსწავლეთა ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა.)***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	უსაფრთხოების მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ის სათანადოდ არ იცნობს ფუნქცია-მოვალეებს და არ აქვს გაცნობიერებული პასუხისმგებლობები. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დასაქმებულის ან მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის დროს, სკოლის მხრიდან არ ხდება დისციპლინური წარმოების დაწყება მათ მიმართ, თუმცა შინაგანაწესში ნახსენებია წარმოების წესი, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია და არ იძლევა პროცედურების განხორციელების სრული აღქმის შესაძლებლობას. ასევე გაწერილია კონკრეტული დარღვევისთვის დისციპლინური სახდელებიც. იქვე არ არის განმარტებული, მოსწავლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცედურები, რას ნიშნავს სკოლის ინტერესების დარღვევა და ა.შ. რადგან სკოლის მიერ არ წარმოებს კანონმდებლობის შესაბამის დისციპლინური წარმოება, სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი ბრძანება, ან მოსწავლის ან მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების ამსახველი მასალა ან მიღებული გადაწყვეტილება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლის ფსიქოლოგმა წარმოადგინა გეგმა, თუმცა ზეპირი გასაუბრების დროს ვერ გაიხსენა რამდენიმე ფაქტი, მაგ: მოსწავლეთა დაპირისპირების /კონფლიქტისი კორექციისთვის ვინ მიმართა კონკრეტულად და როგორ გაიგო სკოლაში არსებული მე-8 კლასელებს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების შესახებ. *მონიტორინგის ჯგუფთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირთან ზეპირი გასაუბრების დროს გამოიკვეთა ის გარემოებაც, რომ ირღვევა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესიც, კერძოდ: არაუფლებამოსილი პირის მიერ ხდება კონფლიქტის მონაწილე პირების იდენტიფიცირება და საქმის ვითარებაში გარკვევა. რაც არღვევს მოსწავლეთა უფლებებს. (ხარისხის მართვის მენეჯერი და ამავდროულად სკოლის იურისტი ჩართული იყო მოსწავლეთა შორის კონფლიქტის მოგვარების პროცესში, იმ დროს, როცა უფლებამოსილი პირი, უსაფრთხოების მენეჯერი არ იყო არც პრევენციით და არც კორექციით დაკავებული.)* *სკოლაში 2021 წლის 2 ნოემბერს მოხდა ფიზიკური დაირისპირება მოსწავლეებს დ.ვ. , ე.ლ* და დ.ბ-ს შორის, რომელიც დასრულდა დ.ბ-ს სერიოზული დაზიანებით სახის არეში. *(*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ ორი მოსწავლე ამ კლასში გადმოსული იყო 2021 სასწავლო წლის სექტემბერში, ხოლო ე. ლ. კი - 10 ოქტომბერს). ინციდენტი მოხდა საგაკვეთილო პროცესის შემდეგ, სკოლის შენობაში, საკლასო ოთახში, სადაც მოსწავლეები იმყოფებოდნენ უმეთვალყურეოდ. მაშინ, როცა იმავე **შინაგანაწესში, დამრიგებლის ვალდებულებებში** ***ვკითხულობთ: მუხლი 20 „კლასის დამრიგებელი“: მე-6 პუნქტი*** - *„დამრიგებელს კატეგორიულად ეკრძალება სადამრიგებლო კლასის უყურადღებოდ დატოვება“;* *აღნიშნული ფაქტის შესახებ სკოლამ სასწრაფოდ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს. აღსანისნავია, რომ პოლიციის მოსვლამდე სკოლამ იმოქმედა კანონმდებლობის შესაბამისად (მოსწავლეების განცალკევება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება და ა.შ.).* *ჩვენთვის საინტერესო იყო დამრიგებლის პოზიციის მოსმენა. დამრიგებელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მე-8 კლასის დამრიგებელი 2 ნოემბერს არ გამოცხადდა სკოლაში კორონა ვირუსის გამო. ხოლო, შემცვლელი კლასის დამრიგებელი სკოლის დირექტორის მიერ არ იქნა დანიშნული და ბრძანებით არავის დაეკისრა მე-8 კლასის ხელმძღვანელობა. იქვე გაირკვა, რომ*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ორგანიზატორის ზეპირი მითითების საფუძველზე ერთ-ერთ მასწავლებელს ეთხოვა კლასის ზედამხედველობა, თუმცა ეს პიროვნება არ იმყოფებოდა კლასთან საგაკვეთილო პროცესის დასრულებისას (სკოლის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სწორედ ამ მორიგე მასწავლებელმა შეიტყო საკლასო ოთახში მიმდინარე ინციდენტის შესახებ). ასევე, დამრიგებლის არ არსებობის შემთხვევაში ბოლო გაკვეთილის მასწავლებელსაც არ უნდა დაეტოვებინა კლასი უმეთვალყურეოდ და ან გამოეცილებინა სკოლის შენობიდან, ან დალოდებოდა მორიგე მასწავლებლის მისვლას. *პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად, გაირკვა, რომ დ.ვ მანამდეც ყოფილა შემჩნეული, როგორც „რთული “ მოსწავლე და დ.ბ-თან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე (მათი განმარტებით, დ,ვ-ს არ მოეწონა დ,ბ-ს გრძელი თმა და ვარცხნილობა). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სკოლას მით უფრო მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინა ამ მოსწავლეების მიმართ კლასის დამრიგებლის ავადობის პერიოდში.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ასევე არასასურველი, ძალადობრივი დამოკიდებულება დაფიქსირდა მე-10 კლ მოსწავლეების მხრიდან თანაკლასელის დ. ქმიმართ. რაც გამოიხატა იმაში, რომ მოსწავლეებმა გადაიღეს ვიდეო არასასურველ ე.წ. „ინტიმური“ მდგომარეობის იმპროვიზაციით, იმიტაციით, რაც ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ იყო განხორციელებული. (ამ ფაქტით დათრგუნულ მოსწავლეს სკოლაში მოსვლის სურვილი აღარ აქვს). *კვლავ აღსანიშნავია სკოლის პოზიცია, როდესაც ამ ძალადობრივ ინციდენტში მონაწილე მოსწავლეების მიმართ, არ დაიწყეს კანონმდებლობის შესაბამისად დისციპლინური წარმოება და მხოლოდ დიალოგით შემოიფარგლნენ. კლ. დამრიგებლის განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციის საუბრის შემდეგ, „მოძალადე“ მოსწავლეებმა გაიაზრეს ჩადენილი დანაშაულის არსი/სიმძიმე და ტირილი დაიწყეს.* *მე-10 კლასის დამრიგებლის განცხადებით, მათ დაგეგმეს შერიგების პროცესიც და არაფორმალურ გარემოში გადაწყვიტეს დაზარალებულისთვის მოახლოებული დაბადების*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	დღის აღნიშვნა, მიიწვიეს დაზარალებული და თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიდა დაზარალებული დ. ქ. წვეულებაზე. მიუხედავად ამისა ც. ქ. მაინც არ დადის სკოლაში. *ამ ინციდენტის მოგვარების პროცესში ნაკლებად იკვეთება სკოლის ფსიქოლოგის როლი, რომელსაც არ აქვს დაგეგმილი მოსწავლეების სასკოლო სივრცეში ჰარმონიული ინტეგრაციის პოლიტიკა. ფისქოლოგის განმარტებით, მასწავლებლებს ჩაუტარა ბულინგის შესახებ ტრენინგი. წარმოადგინა მასწავლებლებთან, ბულინგის წინააღმდეგ ჩატარებული ტრენინგის მასალები, თუმცა მასწავლებლების მიერ, შემდგომი განვითარებისა და სასკოლო სივრცეში მიღებული ცოდნის ტრანსფერის ნიშნები არ შეიმჩნეოდა. მე-8 კლასის დამრიგებლის განმარტებით, როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს ფეხს უდებენ (ფაქტიურად ტკივილს აყენებენ ან ამცირებენ), ეს არის ბავშვური ხუმრობა და ის ვერ ხედავს ამ ქმედებაში საყურადღებო ფაქტს.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სკოლის დირექციის მხრიდან სათანადოდ ყურადღება არ ექცევა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას და არ მიმდინარეობს მოსწავლეთა ჰარმონიულ განვითარებაზე ზრუნვა .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები: სკოლის ფსიქოლოგთან მონიტორინგის პროცესში კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირთან, მე-8 და მე-10 კლასის დამრიგებლებთან, უსაფრთხოების მენეჯერთან. სკოლის შინაგანაწესი; შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის “ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობების პროექტი
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☒ ქვესტანდარტი დარღვეულია
2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	*მონიტორინგის ვიზიტის პროცესში უნდა გაგვეცა პასუხები კითხვებზე:* *1. აქვს თუ არა სკოლას შემუშავებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ანგადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები* *2. კერძოდ რა პრობლემები იყო მოსწავლე დ. ვ. ჩარიცხვასთან დაკავშირებით და სწორად ეთქვა თუ არა მოსწავლე დ.ვ-ს ჩარიცხვაზე მის კანონიერ წარმომადგენლებს უარი;*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნეს შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი, სსგ, სადამრიგებლო პროგრამები, ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, საქმიასწარმოების წესი და სხვა. თუმცა შეთანხმების პროცესში იყო ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როგორიცაა შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის " უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, აღსანიშნავია, რომ დისციპლინური გადაცდომების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების, სკოლის უსაფრთხოების მენეჯერის. ორგანიზატორის და ფსიქოლოგის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი ისეთი დოკუმენტები რომელიც სკოლის მიერ უსაფრთხო და კეთილგანწყობილი, მზრუნველი გარემოს შექმნაზე მიგვითითებდა - სკოლის მხრიდან წარმოდგენილი არ იქნა. სკოლამ ასევე ვერ წარმოადგინა მედიაციის გეგმა, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი იმ დროს, როდესაც სკოლა ორ სექტორიანია (რუსული და ქართული) და სკოლაში 2021 წელს ბევრი მოსწავლეა გადმოსული მობილობით თუ უცხოეთში მიღებული აღიარების გზით.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ამასთანავე, ზოგიერთი წარმოდგენილი დოკუმენტის შინაარსი, სრულად ვერ ითვალისწინებდა მექანიზმებსა და პროცედურებს, რომელიც სკოლის საქმიანობაზე უკეთეს წარმოდგენას შეგვიქმნიდა. კერძოდ:, შინაგანაწესში, ძალიან ზოგადად არის წარმოდგენილი დამრიგებლის ფუნქციები. არ არის განმარტებული მაგ. რას ნიშნავს : „კლასის ხელმძრვანელს ეკრძალება კლასის დატოვება“, ან როგრო ხდება დისციპლინური წარმოების დაწყება, მოსწავლეთათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს სკოლის ინტერესები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი დისციპლინური სახდელები, თუმცა მას ფორმალური ხასიათი აქვს და არ ხდება ამ პუნქტების შესაბამისად დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირება. სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი ბრძანება, ან მოსწავლის ან მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების ამსახველი მასალა, მიღებული გადაწყვეტილება. სადამრიგებლო პროგრამები არის ზოგადი და არ ეფუძნება არანაირ მეთოდოლოგიას. მაგ: კითხვაზე, თუ როგორ ხდება სადამრიგებლო საათის დაგეგმვა, კლ. ხელმძრვანელმა განგვიმარტა, რომ მეთოდოლოგიას განსაზღვრავს სკოლის ორგანიზატორი. მაგ: მას უნდოდა შეეტანა და ესაუბრა თემაზე : სიყვარული და მეგობრობა და მხოლოდ ორგანიზატორის სიტყვიერი, სუბიექტური შეხედულების საფუძველზე ამოიღო ეს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	საკითხი. რადგან სკოლის ორგანიზატორმა ჩათვალა, რომ თემა „სიყვარული და მეგობრობა“ მეხუთე კლასელებისთვის იყო ასაკობრივად შეუფერებელი. ამიტომ კლ. ხელმძღვანელიც უპირობოდ დაემორჩილა და აღარ შეიტანა ეს თემა კლასის საათზე. *ჩვენ შევისწავლეთ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და დავაფიქსირეთ მთელი რიგი შეუსაბამობები საქართველოს კანონმდებლობასთან. კერძოდ:* *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი ცნობის საფუძველზე,* ***ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე,*** *დაინტერესებული პირი* ***უფლებამოსილია*** *მიმართოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიზნით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებას თან ერთვის ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაციის ასლები (არსებობის შემთხვევაში). პირი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად. *შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის მიერ ირღვევა ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისი მუხლი, ვინაიდან მოსწავლეებს ისე უშვებენ საგაკვეთილო პროცესზე, რომ სკოლის მხრიდან არ ხდება **შესაბამისი დოკუმენტაციის მოთხოვნა** (**ცნობის** და მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დაშვებასთან დაკავშირებით) და არ იწერება ბრძანება მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დროებით დაშვებასთან დაკავშირებით. მართალია, ერთი მხრივ ზემოაღნიშნულ 98/ნ ბრძანებაში, არ არის ასეთი ვალდებულება (ბრძანების დაწერის), თუმცა მეორე მხრივ, თუ სკოლა ინდ. აქტით -ბრძანებით, არ გააფორმებს ამ მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესზე დაშვების ფაქტს, მაშინ ვინ არიან ეს მოსწავლეები - გარეშე პირები? რომლებიც თავისუფლად გადაადგილდებიან სკოლის ტერიტორიაზე? რა დოკუმენტი ავალდებულებს ამ მოსწავლეებს, რომ დაიცვან შინაგანაწესი? დარღვევის*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	შემთხვევაში, რა მტკიცებულების საფუძველზე უნდა დაიწყოს სკოლის მხრიდან დისციპლინური წარმოება? რითი უზრუნველყოფს სკოლა მისი მოსწავლეების ან ამ გარეშე პირების უსაფრთხოებას? . არანაირი დოკუმენტით არ დასტურდება , რომ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებამდე, ეს მოსწავლეები არიან უფლებამოსილნი, რომ დაესწრონ საგაკვეთილო პროცესს და არ იყვნენ გარეშე პირები, რომლებიც თავისუფლად გადაადგილდებიან სკოლის ტერიტორიაზე. შესაბამისად უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პერიოდამდე ამ მოსწავლეების (რომლებიც საკმაოდ მრავლად არიან სკოლაში) ***იდენტიფიცირება შეუძლებელია.*** *ასევე დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბერისბრძანება №193/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი. კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, მობილობის მსურველის* ***ჩარიცხვის შემდგომ,*** *გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე, დაადგინოს*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში ***მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.*** *შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის შინაგანაწესის 43-ე მუხლის „სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობების“ მე-8 პუნქტის მიხედვით: სკოლა უფლებამოსილია მობილობის* ***მსურველის ჩარიცხვამდე,*** *გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა,* ***ხოლო*** *მე-9 პუნქტის გ) ქვეპუნქტისმიხედვით კი: „****მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას სკოლაში ჩარიცხვაზე, თუ გასაუბრებაზე ან გამოცდაზე დადგენილი იქნება მზაობის დაბალი დონე“ - რაც არღვევს მოსწავლეთა უფლებას და ეწინააღმდეგება,მოქმედ კანონმდებლობას (ზემოაღნიშნულ 98/ნ ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 40/ნ ბრძანების “ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ 35 მუხლს).***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	(ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ, სკოლამ, საპასუხოდ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც 43-ე მუხლის პირობები მოყვანილია შესაბამისობაში კანონმდებლობასთან) *აღსანიშნავია, რომ შინაგანაწესის მე-2 მუხლში „სკოლის სტრუქტურა“- არ არის ასახული თანამდებობები: ორგანიზატორი, უსაფრთხოების მენეჯერი, ფსიქოლოგი, თუმცა ფუნქცია მოვალეობები გაწერილის ზემოაღნიშნული პირებისთვის მე-6, მე-14 და მე-15 მუხლებში. ადმინისტრაციულ პერსონალთან ზეპირი გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ეს ადამიანები ნაკლებად იცნობენ საკუთარ მოვალეობებს. კერძოდ:* ***შინაგანაწესის მიხედვით:*** ***ორგანიზატორი** - 1. კოორდინაციას უწევს კლასის დამრიგებლების მეშვეობით მოსწავლეთა მშობლების ჩართვას სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.* ***კითხვაზე თუ როგორ, რა მექანიზმებით ახორციელებს სასკოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშობლების ჩართვას, ორგანიზატორმა ვერ გვიპასუხა;***

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ყოველივე ეს გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ სკოლის დირექტორი სათანადოდ ვერ ახორციელებს საშემსრულებლო დისციპლინის მონიტორინგს. *მე-2 კითხვაზე : რა პრობლემები იყო მოსწავლე დ.ვ-ს ჩარიცხვასთან დაკავშირებით და სწორად ეთქვა თუ არა მოსწავლე დ.ვ-ს ჩარიცხვაზე მის კანონიერ წარმომადგენლებს უარი, ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და შპს გიმნაზია 21 -ე საუკუნის არგუმენტირებული პასუხი დ.ვ-ის სკოლაში არ ჩარიცხვასთან დაკავშირებით. სკოლის პასუხიდან ერთადერთ არგუმენტად დასახელებულია სკოლის შინაგანაწესის 43 მუხლის მე-9 პუნქტის გ) ქვეპუნქტი: **თუ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პეროდში მოსწავლეს გაუჭირდება სკოლის გარემოსთან შეგუება.*** *ის არგუმენტი, რომ მოსწავლე უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების პეროდში **ვერ შეეგუა სასკოლო გარემოს, საფუძველს მოკლებულია, რადგან** მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრიდან, მოსწავლე დ.ვ-ის უცხოეთში მიღებული*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	განათლების აღიარების თაობაზე დადებითი პასუხი სკოლაში მივიდა 2021 წლის 29 ნოემბერს, რითიც დასრულდა აღიარების პერიოდი და ამ პერიოდში მოსწავლე „დ.ვ. “ მეტნაკლებად შეეგუა სკოლის გარემოს. ***ეს კი წარმოადგენდა მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის საფუძველს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის 2 ნოემბერს (აღიარების დოკუმენტების მოსვლიდან მესამე დღეს) მოსწავლე ჯერ კიდევ არ იყო ჩარიცხული სკოლაში.*** *აღიარების ვადის გასვლის შემდეგ, 2021 წლის 2 ნოემბერს, მოხდა ინციდენტი, კერძოდ: ფიზიკური დაირისპირება მოსწავლეებს: დ.ვ.; ე.ლ-ს და დ.ბ-ს შორის, რაც გახდა რეალურად უარის თქმის მიზეზი. ეს კი ეწინააღმდეგება სკოლის კანონმდებლობას* ***დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლე დ.ვ კანონიერ წარმომადგენლებს მოსწავლის ჩარიცხვაზე უარი ეთქვათ კანონმდებლობის (სკოლის შინაგანაწესის) გვერდის ავლით.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	*მარეგულირებელი დოკუმენტები: წესდება, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი, სსგ,*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ზეპირი გასაუბრება ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	✓ სკოლის უსაფრთხოების დოკუმენტი უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრანებასთან; ✓ შეიქმნას მედიაციის გეგმა; ✓ შეიქმნას მოსწავლეთა რთული ქცევის პირველადი მართვის პოლიტიკა და წესი ✓ დაიგეგმოს და განხორციელდეს ძალადობისა და ბულინგის საწინააღმდეგო პრევენციულოი გეგმა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	✓ სკოლის ადმინისტრაციამ შინაგანაწესის შესაბამისად განახორციელოს დისციპლინური წარმოება და თანმიმდევრულად და თანაზომიერად გამოიყენოს შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები; ✓ მაქსიმალური ყურადღება გამახვილდეს პერსონალური მონაცემის დაცვაზე, რათა არ გახდეს ცნობილი მესამე პირთათვის მოსწავლ;ეთა პერსონალური მონაცემები და სკოლამ იმოქმედოს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით; ✓ *დეტალურად გაიწეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში კონკრეტული აქტივობისთვის პროცედურები და შეიქმნას ქმედითი მექანიზმები;* ✓ *კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები;* ✓ *სკოლის დირექციამ, გადაწყვეტილებები მიიღოს კანონმდებლობის სრული დაცვით;* ✓ *სკოლის დირექტორმა შეიმუშაოს შრომითი დისციპლინის კონტროლისა და მონიტორინგის ქმედითი გეგმა/წესი და პრაქტიკულად განახორციელოს სკოლაში დასაქმებულთა სამიანობის შეფასება.*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

რჩევები:	✓ *შეიქმნას მოსწავლეთათვის კიდევ უფრო უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო;* ✓ *დაიგეგმოს ძალადობის წინააღმდეგ პრევენციული აქტივობები;* ✓ *გაღრმავდეს არაფორმალური განათლებოის მიმართულებით მუშაობა, ჩამოყალიბდეს სხვადასხვა კლუბი;* ✓ *ფსიქოლოგმა იმუშაოს მოსწავლეებთან ბულინგის წინააღმდეგ პრევენციული მეთოდების გამოყენებით;* ✓ სკოლის ადმინისტრაციამ იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები მოიყვანოს მასთან შესაბამისობაში; ✓ სკოლის პერსონალმა იმოქმედოს თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.
ხარვეზები:	✓ *დარღვეულია მოსწავლეთა სკოლაში მიღებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი;*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	✓ *დარღვეულია შინაგანაწესის წარმოება;* ✓ *შინაგანაწესის 43-ე მუხლი საჭიროებს კანონმდებლობასთან შესაბამისობას;* ✓ *სკოლა არ ხელმძღვანელობს შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმებით;* ✓ *დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, როდესაც მესამე, არაუფლებამოსილი პირისთვის ცნობილი ხდება პერსონალური მონაცემების დეტალები;*
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გიმნაზია 21-ე საუკუნის მიერ წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით “ … გიმნაზია ემსახურება ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნების აზრდას, რომელიც ინტეგრირებული იქნება ევროპულ და საერთაშორისო სივრცეში. გიმნაზია ხელს უწყობს: ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას; დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას; ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას; ზ) გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის; თ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას; ი) სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას. ... „ აღნიშნული კულტურის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ცალკეული კომპონენტები მოიცავს შინაარსს კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებით მოსწავლის აკადემიური და სოციალური შესაძლებლობების გასავითარებელი საგანმანათლებლო გარემოს შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია დაცულობისა და

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ურთიერთპატივისცემაზე, გამოყენებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიმართულებები, დადგენილია დამრიგებლის კლასთან მუშაობის ფორმები, საგნობრივი კათედრების ფუნქციები და მათი მუშაობის მახასიათებლები. დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპების გათვალისწინებით შემუშავებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება, დაწესებულების შინაგანაწესი, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების პროცესშია. სამუშაო გარემოსა და სასწავლო პროცესის გასავითარებლად დადგენილია სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა და SWAT ანალიზზე დაფუძნებული 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. დაწესებულებამ წარმოადგინა კონკრეტული კლასის სადამრიგებლო პროგრამები და პროექტები. სადამრიგებლო პროგრამების უმეტეს შემთხვევაში აქტივობები მოიცავს „საუბარს“, თუმცა,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მხოლოდ რამდენიმე პროექტში ვხვდებით აქტიური სწავლების მიდგომას, მაგ.: პროექტები „ბულინგი - არა ძალადობას“, „ვიდეო რგოლის შექმნა“ (მოსწავლეების სოციალური უნარებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარების მიზნობრიობით). სკოლის დირექტორი, იურისტი, უსაფრთხოების მენეჯერი, სკოლის კლასების ორი დამრიგებელი და სკოლის ფსიქოლოგი დისტანციურად ჩატარებული გასაუბრებისას საუბრობენ პოზიტიური სასკოლო გარემოს მახასიათებლებზე. აღწერენ მოსწავლეებთან მათი მუშაობის პრინციპებს, საიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან კონკრეტული საკითხის მიმართულებით, უმეტეს შემთხვევაში სააღმზრდელო მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეების პასიურ მსწავლელთა როლის გამოყენებით - კონკრეტული ქცევის შესახებ გამოიყენება მინი ლექცია ან კითხვა-პასუხი. გარდა ამისა, უნდა აიღნიშნოს ისიც, რომ ერთი დამრიგებლის თქმით ერთი მოსწავლის მიერ, მეორესთვის ფეხის დადების ხშირი ქცევა შეიძლება „ბავშვური თამაში“ იყოს, ხოლო მეორე მოსწავლეების მიერ გახორციელებულ დამამცირებელი ქცევის მიზეზი მოსწავლის „განსხვავებულობა“. ინტერვიუირების პროცესიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ დაწესებულების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	პერსონალი გარკვეულ შემთხვევებში ვერ ამოიცნობს მოსწავლეზე ძალადობის ნიშნებს ან აგვიანებს პრევენციულ რეაგირებებს ფაქტის/ფაქტების დადგომამდე. ინტერვიუს მონაწილეები აღწერდნენ ფსიქოლოგის ჩართულობას კონკრეტული საკითხების განხილვა/გადაჭრის პროცესში. ფსიქოლოგთან ინტერვიუ წარიმართა ქართული და რუსული ენების გამოყენებით - უმეტეს შემთხვევაში რუსულად. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა საგანმანათლებლო მომსახურებას უწევს ქართულენოვან მოსწავლეებს დაწყებით, საბაზაო და საშუალო საფეხურზე, მნიშვნელოვანია პერსონალს შეეძლოს ქართულე ენაზე კომუნიკაცია. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლემ მესამე პირის (თარგმნის საჭიროების შემთხვევაში) დახმარების გარეშე შეძლოს ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სკოლის ფსიქოლოგთან. შესწავლილი დოკუმენტაციის გარკვეული შინაარსი და ინტერვიურების პროცესში მიღებული ინფორმაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც უსაფრთხო და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოსთან დაკავშირებით აჩენს კითხვებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო პროცესში ჩართულ პერსონალს უკვე აქვს კონკრეტული თემატიკის ინტერაქტიული სწავლების რეჟიმში განხილვისა და შეფასების გამოცდილება, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსით: **„... გიმნაზია ორიენტირებულია შემდეგი პრინციპების შესასრულებლად:** ➢ სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს. ➢ მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელ **(აქტიური სწავლა);** ➢ სწავლა მიმდინარეობდეს მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ...“ მნიშნელოვანია სასწავლო პროცესის დაგეგმვისას განსაკურებული ყურადღება მიექცეს მოსწავლეთა სოციალური განვითარების მიმართულებით სწავლების ინტერაქტიული

	მიდგომების გამოყენებასა და სასკოლო კლუბების შექმნა/ამუშავებას, საჭიროებაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა/განხორციელებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს: 1. გიმნაზიის ზემოაღნიშნული პრინციპების მიღწევას; **2.** ეროვნული სასწავლო გეგმის მე-18 მუხლის (სკოლის საერთო კულტურა) პირველი პუნქტის შემდეგი ქვეპუნქტების მიღწევას: „ა“ ქვეპუნქტი - **ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა;** „ე“ ქვეპუნქტი - **კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრება;** „ვ“ ქვეპუნქტი - **ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვა;** „თ“ ქვეპუნქტი - **კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლება;**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • წესდება; • შინაგანაწესი;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა; • 2021-2022 სასწავლო წლის მოკლევადიანი საქმომედო გეგმა; • სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	✓ *სკოლამ შეიმუშაოს სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სკოლის საერთო კულტურისა და მისი მიღწევის პრინციპების განხორციელების მექანიზმები;* ✓ *ხელი შეუწყოს ქართულენოვანი მოსწავლეებს ეფექტურ კომუნიკაციას სკოლის ფსიქოლოგთან.*
რჩევები:	✓ *სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვროს ძალადობის მაღალი რისკის ფორმები, შემუშავდეს მათზე რეაგირების სავარაუდო აქტივობების განხორციელებისა და შედეგების შეფასების მექანიზმები;*

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	✓ *დაიგეგმოს სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების აქტივობები აღნიშნული მექანიზმების გაანალიზებისა და პროცესში გამოყენებისათვის;* ✓ *ადამიანური რესურსის შერჩევისას გაითვალისწინონ სკოლის ქართული და რუსული სექტორის მოსწავლეების საკომუნიკაციო ენის საჭიროებები.*
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქ. თბილისი 22 დეკემბერი, 2021 წ.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 53

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .....
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.